ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში

გზამკვლევი

British Embassy Tbilisi
UKaid from the British people
MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK
Sweden/შვედეთი Sverige
UNDP Empowered lives. Resilient nations.

მომზადებული და გამოცემულია საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვედეთის მთავრობის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის და დანიის მთავრობის მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

Prepared and published by the Civil Service Bureau of Georgia with assistance from the United Nations Development Programme (UNDP), Government of Sweden, UK aid from the UK Government and with support of Danish Government. The views expressed in the publication are those of the authors and do not necessarily reflect those of donor organizations.

გზამკვლევის ტექსტი: ელგუჯა მაკალათია
გრაფიკული გაფორმება: ზურაბ სამუშია
©საჯარო სამსახურის ბიურო

სარჩევი

3 ინტერესთა შეუთავსებლობის ცნება, შინაარსი და სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
5 ინტერესთა შეუთავსებლობის სუბიექტები
10 ინტერესთა შეუთავსებლობა პარალელური საქმიანობის გამო
16 ინტერესთა შეუთავსებლობა დამატებითი ანაზღაურების გამო
20 ინტერესთა შეუთავსებლობა სამეწარმეო საქმიანობის გამო
22 ინტერესთა შეუთავსებლობა და საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრები
25 მბრუნავი კარი
26 ინტერესთა შეუთავსებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები (დისციპლინური წარმოება, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირება, დეკლარაციების მონიტორინგი) და პასუხისმგებლობა

ინტერესთა შეუთავსებლობის ცნება, შინაარსი და სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (შემდგომში - კანონი). აღნიშნული კანონის შესაბამისად განსაზღვრულია თავად ინტერესთა შეუთავსებლობის არსიც და ცნებაც. კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად: „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობა“ არის საჯარო მოსამსახურის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესის დაპირისპირება საჯარო დაწესებულების ინტერესებთან. აღნიშნული განმარტება ნათლად მიუთითებს, რომ ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში არის კერძო და საჯარო ინტერესების დაპირისპირება. კანონის მიერ ამ საკითხის მკაცრად დარეგულირება განპირობებულია იმ ფაქტობრივი გარემოებით, რომ ინტერესთა შეუთავსებლობა დიდი საფრთხის მომტანი შეიძლება გახდეს საჯარო სამსახურისათვის.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ინტერესთა შეუთავსებლობა შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ სათანადოდ არ შესრულდეს საჯარო ინტერესი, ვინაიდან საჯარო მოსამსახურე თავის პირად/კერძო ინტერესებს ანიჭებს უპირატესობას და შედეგად, საჯარო სერვისი მოქალაქეს სათანადო ხარისხით არ მიეწოდება.

ზემოთქმულს ემატება ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში იკლებს საჯარო დაწესებულებისა და საერთოდ, საჯარო სამსახურის ავტორიტეტი და შესაბამისად, ნდობა საჯარო სამსახურის მიმართ.

ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებთან დაკავშირებული დარღვევების ყველაზე რთული ფორმა კორუფციული სამართალდარღვევაა. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულებთან, რაზეც სახელმწიფოს მხრიდან უმკაცრესი რეაგირებაა აუცილებელი.

გარდა კანონისა, ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებული საკითხები ასევე მოწესრიგებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილებით „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ (შემდგომში - დადგენილება). დადგენილების მე-8 მუხლი, რომელიც ეხება კეთილსინდისიერებას საჯარო სამსახურში, მიუთითებს, რომ ინტერესთა კონფლიქტი (შეუთავსებლობა) ეს არის კერძო და საჯარო ინტერესების დაპირისპირება, რომლის დროსაც საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, უპირატესობა მიანიჭოს საჯარო ინტერესებს. საჯარო მოსამსახურე საჯარო ინტერესს აყენებს პირად ინტერესზე მაღლა და თავიდან ირიდებს ისეთ გარემოებებს, რომლებმაც შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი ან/და აღქმულ იქნას, როგორც ინტერესთა კონფლიქტი.

ამდენად, ქართული კანონმდებლობა იცნობს ორ ძირითად აქტს, რომელიც არეგულირებს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებს, და ესენია:

- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“.

ინტერესთა შეუთავსებლობის სუბიექტები

ინტერესთა შეუთავსებლობის სუბიექტებს კანონის თანახმად წარმოადგენენ საჯარო მოსამსახურეები. თუმცა, იმისათვის, რომ მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ვინ იგულისხმება საჯარო მოსამსახურეში, კანონი ცალკე პუნქტად განმარტავს საჯარო მოსამსახურის ცნებას.

კანონის 2[1] მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეები არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურე, პროფესიული საჯარო მოხელე და საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები. კანონი ასევე აკეთებს დათქმას, რომლის თანახმადაც შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირები არ ითვლებიან საჯარო მოსამსახურეებად და, შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმები. იდენტური დანაწესია დადგენილებაში, რომლის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეზე არ ვრცელდება ინტერესთა შეუთავსებლობისა და საჩუქრის რეგულაციები.

ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ საჯარო მოსამსახურეებად არ ითვლებიან კანონის მე-2 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები და მათზე არ ვრცელდება ინტერესთა შეუთავსებლობის რეგულაციები. ესენი არიან:

- სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი;

- იმ საწარმოს ხელმძღვანელი, რომლის აქციათა ან წილის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ არ ვრცელდება სახელმწიფო პოლიტიკურ და პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, ასევე საქართველოს მოსამართლეებზე, თუმცა ისინი ექცევიან კანონის იმ მუხლების რეგულაციის ქვეშ, რომლებიც ეხება ინტერესთა შეუთავსებლობას.

კანონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დათქმის თანახმად, ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმები არ ვრცელდება საკრებულოს იმ წევრზე, რომელიც საკრებულოს თანამდებობის პირი არ არის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინტერესთა შეუთავსებლობის სუბიექტები არიან:

- სახელმწიფო მოსამსახურეები;
- პროფესიული საჯარო მოხელეები;
- საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები;
- საქართველოს პრეზიდენტი;
- საქართველოს პარლამენტის წევრი;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა თავმჯდომარეები;
- საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე;
- საქართველოს სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილე;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები და მათი მოადგილეები;
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე;
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე;
- საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები, აგრეთვე სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე;

- საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები;
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;
- საქართველოს ბიზნესომბუდსმენი და მისი მოადგილე;
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;
- საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, დეპარტამენტების უფროსები და მათთან გათანაბრებული პირები;
- საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო და რელიგიური საქმიანობისათვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და პოლიტიკური პარტიებისა) ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და მისი მოადგილეები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების, მათში შემავალი მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი;

- გენერალური აუდიტორი, მისი მოადგილე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის წევრი, დეპარტამენტების, რეგიონალური და ქალაქის ბიუროების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი;
- საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
- საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი;
- სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე;
- საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებელი, მისი მოადგილე და რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
- მოსამართლე;
- საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილე, საქართველოს პროკურატურის დეპარტამენტებისა და სამსახურების ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები;
- საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი;
- სახელმწიფო ინსპექტორი და მისი მოადგილე;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი და მისი მოადგილეები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორი და უფროსი საინვესტიციო ოფიცერი.

ინტერესთა შეუთავსებლობა პარალელური საქმიანობის გამო

ინტერესთა შეუთავსებლობის ერთ-ერთ უმთავრეს მაგალითს წარმოადგენს საჯარო სამსახურის გარდა/პარალელურად სხვა სახის საქმიანობის განხორციელება. მსგავსი შემთხვევები რეგულირებულია როგორც კანონით, ასევე დადგენილებით. ნათელია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც საჯარო მოსამსახურე ასრულებს პარალელურად ორ ფუნქციას და საქმიანობს ორ სფეროში, წარმოიშვება ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების სრულყოფილად და ობიექტურად განხორციელებას, რაც სამომავლოდ აისახება საჯარო დაწესებულების რეპუტაციაზე.

აღნიშნული შემთხვევები არ გულისხმობს ისეთ საქმიანობას, როცა საჯარო მოსამსახურე იღებს დამატებით ანაზღაურებას, არამედ როცა თავად ეს საქმიანობა ანაზღაურების გარეშე წარმოადგენს ინტერესთა შეუთავსებლობას, ვინაიდან იგი ხორციელდება საჯარო უფლებამოსილების აღსრულების პარალელურად.

კანონის თანახმად საჯარო მოსამსახურეს, გარდა საქართველოს პრეზიდენტისა, საქართველოს პარლამენტის წევრისა და საქართველოს მთავრობის წევრისა, უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში (თავდაცვის ძალების რეზერვის გარდა) ან კერძო სამართლის იურიდიულ პირში, ან იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. ამ დათქმის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება ნებისმიერი ფორმის პარალელური საქმიანობა ანაზღაურებით თუ ანაზღაურების გარეშე (მართალია, კანონი ითვალისწინებს გამონაკლისებსაც, თუმცა ეს შეეხება ანაზღაურებად საქმიანობას, რაზეც მომდევნო თავში იქნება საუბარი).

კანონი ცალკე პუნქტებად გამოყოფს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრისა და საქართველოს მთავრობის წევრისათვის არსებულ რეგულაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამ პუნქტების თანახმად:

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის. საქართველოს პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი.
საქართველოს მთავრობის წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, იღებდეს ანაზღაურებას სხვა საქმიანობისათვის, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა.
საქართველოს პარლამენტის წევრის შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

გარდა ზემოთ მითითებული დანაწესისა, კანონი ასევე კრძალავს, რომ საჯარო მოსამსახურეს დაეკისროს იმ ორგანიზაციაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა, რომლის ხელმძღვანელ ორგანოშიც მისი ოჯახის წევრი საქმიანობს.

„ოჯახის წევრში“ კანონის მიზნებისათვის იგულისხმება პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი

ეს ნორმა წარმოადგენს პრევენციულ მექანიზმს, რათა არ მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესების დაპირისპირება. ვინაიდან ოჯახის წევრობა შეიძლება აღმოჩნდეს ის ფაქტორი, რომელიც ზედამხედველ საჯარო მოსამსახურეს სუბიექტურ გადაწყვეტილებებს მიაღებინებს.

გარდა ზემოთ მითითებულისა, კანონი ითვალისწინებს კიდევ ერთ შემთხვევას, როდესაც საჯარო მოსამსახურის მიერ, თუნდაც ანაზღაურების გარეშე განხორციელებული საქმიანობა ჩაითვლება ინტერესთა შეუთავსებლობად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საჯარო მოსამსახურე ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. კერძოდ, საჯარო მოსამსახურეს უფლება არ აქვს, იყოს რომელიმე ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის წარმომადგენელი ან რწმუნებული, ან განახორციელოს წარმომადგენლობა ან დაცვა სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე რომელიმე საჯარო დაწესებულების წინაშე ან წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი არის ამ ფიზიკური პირის მეურვე, მზრუნველი ან მხარდამჭერი. კანონის დათქმიდან ნათელი ხდება, რომ ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს საჯარო მოსამსახურის საქმიანობა საჯარო დაწესებულების წინააღმდეგ მესამე პირთან დავის განხილვის შემთხვევაში ან/და მის წინაშე, იმ შემთხვევებში, როდესაც დავის განმხილველი თავად აღნიშნული საჯარო დაწესებულებაა. ეს მოთხოვნა ლოგიკურიცაა, რადგან მსგავსი მაგალითები ყოველთვის უცილობლად წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს.

საქმიანობიდან გამომდინარე ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევების რეგულირებას ახდენს ასევე დადგენილება. დადგენილების მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურე არ ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შეუთავსებელია მის მიერ საჯარო სამსახურში დაკავებულ პოზიციასთან. თუმცა, დადგენილება აქვე მიუთითებს იმ გამონაკლისებზე, რომელთა შემთხვევაშიც საქმიანობა არ ჩაითვლება ინტერესთა შეუთავსებლობად.

საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ მიიჩნევა მის მიერ დაკავებულ პოზიციასთან შეუთავსებელ საქმიანობად და ეთიკის ნორმების დარღვევად, თუ იგი ახორციელებს:

- სამეცნიერო საქმიანობას, როგორიცაა სამეცნიერო სტატიის ან ნაშრომის გამოქვეყნება, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო-კვლევით პროგრამაში მონაწილეობა;

- პედაგოგიურ საქმიანობას, როგორიცაა ლექციის წაკითხვა, ტრენინგებისა და სხვა სასწავლო პროგრამების წარმართვა და პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების სხვა სახით გაზიარება;
- შემოქმედებით საქმიანობას, როგორიცაა კულტურული ფასეულობების, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით შექმნა, აღდგენა ან/და ინტერპრეტაცია;
- სასპორტო საქმიანობას.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დადგენილება ყურადღებას ამახვილებს ინტერესთა შეუთავსებლობის ისეთ ფორმებზეც, როცა საჯარო მოსამსახურე შეუთავსებელ საქმიანობას ახორციელებს არა საჯარო დაწესებულების უფლებამოსილების პარალელურად, არამედ უშუალოდ თავისი ფუნქციის განხორციელებისას.



ამ საკითხს ეხება დადგენილების მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები. კერძოდ:

„1. საჯარო მოსამსახურე არ იღებს ისეთი სახის შეთავაზებას, რომელიც წარმოშობს ან შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა შეუთავსებლობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან ან/და გავლენა მოახდინოს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე.

3. საჯარო მოსამსახურე, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან/და შესაძლო წარმოშობის შემთხვევაში, არ მონაწილეობს საჯარო დაწესებულების სახელით სხვა დაწესებულებასთან/ორგანიზაციასთან ხელშეკრულების მომზადების ან/და მოლაპარაკების პროცესში, ასევე პოლიტიკის შემუშავების, საჯარო ინტერესის მქონე გადაწყვეტილების მიღების, სხვა დაწესებულებისათვის ან/და საჯარო მოსამსახურისათვის კონსულტაციის გაწევის პროცესში.“

მაგალითად: საჯარო დაწესებულება კერძო სამართლის იურიდიულ პირთან ხელშეკრულებას აფორმებს, ხოლო საჯარო მოსამსახურეს, რომელიც ხელშეკრულების გაფორმებაზეა უფლებამოსილი, საჯარო დაწესებულების მხრიდან კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა შესთავაზა, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ დახმარებოდა ხელშეკრულების გასაფორმებლად სათანადო დოკუმენტაციის მოძიებასა და მომზადებაში. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი ფორმით დახმარება, რომელიც რეალურად სცილდება მის ფუნქციებს, ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის მისი სახელით გამოსვლა მესამე პირებთან ურთიერთობაში ავტომატურად უნდა ჩაითვალოს ინტერესთა კონფლიქტად.

აღნიშნული სახის ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში დადგენილება ავალდებულებს საჯარო მოსამსახურეს, განაცხადოს ამის თაობაზე და მოახდინოს თვითაცილება.

ინტერესთა შეუთავსებლობა დამატებითი ანაზღაურების გამო

ინტერესთა შეუთავსებლობის მეორე ფორმას წარმოადგენს შეუთავსებლობა დამატებითი ანაზღაურების მიღების გამო. ასეთ შემთხვევაში ნათელია, რომ საჯარო მოსამსახურე, საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობრივი სარგოს გარდა დამატებით იღებს შემოსავალს სხვა საქმიანობიდანაც, რაც თავისთავად წარმოშობს პირად ინტერესს და მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლად აღნიშნული საქმიანობა შეიძლება სრულებითაც არ ეწინააღმდეგება მოსამსახურის ფუნქციებს, იგი მაინც უნდა ჩაითვალოს ინტერესთა შეუთავსებლობად, ვინაიდან მოსამსახურის კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მან საჯარო დაწესებულებაში დაკისრებული თავისი ფუნქციები ნაკლები გულისყურით შეასრულოს და მეტი ყურადღება და დრო დაუთმოს პარალელურად არსებულ შემოსავლის წყაროს.

ამდენად, კანონი კრძალავს მსგავსი სახის ანაზღაურებად საქმიანობას და, შესაბამისად, განსაზღვრავს: საჯარო მოსამსახურეს, გარდა საქართველოს პრეზიდენტისა, საქართველოს პარლამენტის წევრისა და საქართველოს მთავრობის წევრისა, უფლება არ აქვს, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი ან თავდაცვის ძალების რეზერვში საქმიანობისა), ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. საჯარო მოსამსახურის მიერ შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. როგორც ამ დანაწესიდან ჩანს, საჯარო მოსამსახურეს შეუძლია შეასრულოს გარკვეული ხასიათის ანაზღაურებადი საქმიანობა. ესენია:

- სამეცნიერო;
- პედაგოგიური;
- შემოქმედებითი;
- თავდაცვის ძალების რეზერვში საქმიანობა.

ამავე პუნქტის დანაწესის თანახმად, საჯარო მოსამსახურის მიერ შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ეს გამონაკლისი გამომდინარეობს იმ ლოგიკიდან, რომ იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში მსგავსი ინტერესები არსებობს და, შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე საჯარო დაწესებულების ერთიანი ინტერესებისა და პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს დამატებით ფუნქციას, რისთვისაც იღებს დამატებით ანაზღაურებას, რაც თავისთავად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და, ამავე დროს, ექვემდებარება დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან კონტროლს. ამასთან, როგორც წესი, აღნიშნული შეთავსებითი საქმიანობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თავად საჯარო დაწესებულება საჯარო მიზნებიდან გამომდინარე.

გარდა აღნიშნულისა, კანონი შეუთავსებელ ანაზღაურებასთან დაკავშირებით კიდევ ერთ რეგულაციას აწესებს, რაც შინაარსობრივად პირდაპირ უკავშირდება ინტერესთა კონფლიქტს. კერძოდ, კანონის თანახმად: საჯარო მოსამსახურეს უფლება არ აქვს, იღებდეს შემოსავალს იმ ორგანიზაციიდან, რომელსაც სამსახურებრივად ზედამხედველობს. ეს დათქმა არსებობს იმისთვის, რომ ზედამხედველს არ გაუჩნდეს კერძო/პირადი დაინტერესება იმ უწყებაში, რომელსაც თავად ზედამხედველობს. რადგან ინტერესთა ასეთი კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილების ობიექტურობა ეჭვქვეშ დგება და საჯარო დაწესებულების ავტორიტეტიც ილახება.

ამ პრობლემას უფრო ვიწრო მასშტაბით, კერძოდ, შიდაუწყებრივი და წმინდა მომსახურების გაწევის კუთხით, არეგულირებს მთავრობის დადგენილებაც, რომლის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საჯარო მოსამსახურე სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას არ ითხოვს ან/და არ იღებს მატერიალურ ან არამატერიალურ სარგებელს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებულისა, ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან და არ იყენებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას კერძო ინტერესების სასარგებლოდ.

ამავე დადგენილების მე-11 მუხლის თანახმად კი საჯარო მოსამსახურე არ იღებს ანაზღაურებას (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) იმ საქმიანობისათვის, რომლის განხორციელებაც მას ეთხოვა, როგორც საჯარო დაწესებულების წარმომადგენელს და გულისხმობს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული ცოდნის დაინტერესებული პირის ან ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებას სამუშაო თუ არასამუშაო საათებში. აღნიშნულ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი მაგალითები, როდესაც დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურეს დავალებული აქვს გარკვეული კონსულტაციების გაწევა საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებულ ან/და განსახორციელებელ ღონისძიებებზე. მაგალითად: საჯარო განხილვების ჩატარება, კონფერენციების წარმართვა, ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევა.

ინტერესთა შეუთავსებლობა სამეწარმეო საქმიანობის გამო

ინტერესთა შეუთავსებლობის ფორმებში ყველაზე მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურის შეუთავსებლობა სამეწარმეო საქმიანობასთან. კანონი საკმაოდ ვრცელ და მკაცრ რეგულაციებს აწესებს აღნიშნული სფეროს მოსაწესრიგებლად. კერძო და საჯარო ინტერესების კონფლიქტის ყველაზე ხშირი შემთხვევები სწორედ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დროს გვხვდება. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საჯარო მოსამსახურეების მხრიდან ყველაზე ხშირად სწორედ აღნიშნული ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ირღვევა.

კანონის მე-13 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტები ეთმობა ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებს სამეწარმეო საქმიანობის გამო.

კანონი არ უკრძალავს საჯარო მოსამსახურეს წილის ან/და აქციების ფლობას. თუმცა, კრძალავს ნებისმიერი ფორმით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას. საჯარო მოსამსახურეს არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება. მას მხოლოდ აქციებისა და წილის ფლობა შეუძლია.

მართალია, კანონის თანახმად საჯარო მოსამსახურე შეიძლება იყოს აქციების ან/და წილის მფლობელი, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაშიც შეიძლება იყოს ინტერესთა შეუთავსებლობა, რადგანაც კანონი ავალდებულებს მოსამსახურეს, მინდობის ხელშეკრულებით გადასცეს სამართავად საწარმოს კაპიტალის წილი და აქციათა პაკეტი სხვა პირს, სამსახურის გავლის ვადით. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა ავტომატურად წარმოადგენს ინტერესთა შეუთავსებლობას.

გარდა აღნიშნულისა, კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საჯარო მოსამსახურეს უფლება არ აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში. აღნიშნულ დანაწესს განავრცობს ამავე მუხლის მე-7 პუნქტი: საჯარო მოსამსახურეს უფლება არ აქვს, იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოების წევრი.

ამდენად, კანონი მაქსიმალურად ცდილობს სრულყოფილად დაარეგულიროს მსგავსი შემთხვევები და სამეწარმეო საქმიანობის გამო ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენცია მოახდინოს. ამ სფეროს კონტროლი მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული მექანიზმია, რადგან, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული სივრცე დაურეგულირებელი რჩება, მაშინ პრაქტიკაში ხშირია საჯარო რესურსის გამოყენებით საკუთარი კერძო ინტერესების გატარებისა და საკუთარი საწარმოების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების ფაქტები, რაც თავისთავად კორუფციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს.

ინტერესთა შეუთავსებლობა და საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრები

მნიშვნელოვანია, რომ კანონი ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებს არა მხოლოდ საჯარო მოსამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით აწესრიგებს, არამედ დამატებით შემოაქვს რეგულაციები, რომელთა თანახმადაც ინტერესთა შეუთავსებლობას წარმოადგენს გარკვეული სამსახურებრივი დამოკიდებულება თანამდებობის წევრსა და მის ოჯახის წევრს შორის. მსგავსი ნორმების არსებობა კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფოს სურვილზე, წინასწარ მიიღოს ზომები, რათა არ მოხდეს საჯარო ინტერესებში კერძო/პირადი ინტერესების შემოჭრა, რამაც შესაძლებელია საჯარო მოსამსახურე სუბიექტური და არაკეთილსინდისიერი გადაწყვეტილებების მიღებამდე მიიყვანოს.

საქმიანობის შეზღუდვის ნაწილში უკვე ვისაუბრეთ კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმადაც საჯარო მოსამსახურეს არ შეიძლება დაეკისროს სამსახურებრივი ზედამხედველობა იმ ორგანიზაციაზე, რომლის ხელმძღვანელ ორგანოშიც მისი ოჯახის წევრი საქმიანობს. აღნიშნული ნორმა, თავის მხრივ, ითვალისწინებს საქმიანობის შეზღუდვას, რომელიც განპირობებულია ოჯახის წევრის სამსახურეობრივი მდგომარეობიდან. სწორედ იმის გამო, რომ საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრი საქმიანობს ქვემდებარე ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში, მას ეკრძალება ზედამხედველი ფუნქციის განხორციელება.

დამატებითი სამსახურებრივი დაქვემდებარების შეზღუდვა ვრცელდება თანამდებობის პირებზე და ეს შეზღუდვა ეხება არა მხოლოდ თანამდებობის პირის ოჯახის წევრებს, არამედ ახლო ნათესავებსაც. კანონის მე-13 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად არ შეიძლება თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე მოხელედ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ან შრომითი ხელშეკრულებით დაინიშნოს (გარდა კონკურსის წესით დანიშვნისა) ამ თანამდებობის პირის ახლო ნათესავი.

„ახლო ნათესავში" იგულისხმება პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები.

აღნიშნული ნორმა ინტერესთა შეუთავსებლობად მიიჩნევს ნებისმიერი ფორმის სამსახურეობრივ დაქვემდებარებას თანამდებობის პირსა და მის ახლო ნათესავს შორის. თუმცა, როგორც ნორმიდან ჩანს, არსებობს გამონაკლისი და ეს ის შემთხვევაა, როდესაც თანამდებობის პირის ახლო ნათესავი ან/და პირიქით, აღნიშნულ პოზიციას დაიკავებს კონკურსის წესით. ასეთ შემთხვევაში კანონის თანახმად ინტერესთა შეუთავსებლობას ადგილი არ აქვს.

თანამდებობის პირებთან დაკავშირებით კანონი დამატებით რეგულაციას აწესებს. ამდენად, ოჯახის წევრებთან დაკავშირებული შეუთავსებლობის ნორმები, კანონის შესაბამისად, ასევე ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც თანამდებობის პირი ან მისი ოჯახის წევრი სამეწარმეო საქმიანობაშია ჩართული. კანონი მსგავს ორ შემთხვევას არეგულირებს.

პირველის თანახმად - თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, უფლება არა აქვთ, ეკავოთ რაიმე თანამდებობა ან ასრულებდნენ რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებაა. ამ დანაწესის თანახმად, თანამდებობის პირსა და მისი ოჯახის წევრს ეკრძალება ნებისმიერი ფორმით საქმიანობა საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოში, თუ აღნიშნული თანამდებობის პირი ან/და მისი სამსახური ახორციელებს ამ საწარმოს კონტროლს. ამ შემთხვევაშიც ხდება რისკების შემცირება, რათა არ მოხდეს კერძო და საჯარო ინტერესების კონფლიქტი.

მეორე შეზღუდვა პირველის ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ ეს შეზღუდვა ეხება მსგავს, დაქვემდებარებაში არსებული საწარმოს წილებისა ან/და აქციების ფლობას. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, უფლება არა აქვთ, ფლობდნენ აქციებს ან კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელი ნორმა მოცემულია საქართველოს მთავრობის დადგენილებაშიც, რომლის თანახმადაც საჯარო მოსამსახურე უპირატეს მდგომარეობაში არ აყენებს ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს ან/და მასთან დაკავშირებულ პირებს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას. ეს ნორმა არეგულირებს საჯარო მოსამსახურის მიერ ნებისმიერი ფორმით უფლებამოსილების განხორციელებისას ოჯახის წევრთან ან/და ახლო ნათესავთან ურთიერთობას. ეთიკის კოდექსი ავალდებულებს საჯარო მოსამსახურეს, დაიცვას მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპები და არ დააყენოს პირადი/კერძო ინტერესები საჯარო ინტერესების წინ.

მბრუნავი კარი

ინტერესთა შეუთავსებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგულაციას წარმოადგენს ე.წ. „მბრუნავი კარის“ პრინციპი. აღნიშნული პრინციპი ასახულია კანონში, რომლის თანახმად საჯარო მოსამსახურის მიერ ინტერესთა შეუთავსებლობას მას შემდეგაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როცა ის საჯარო სამსახურში საქმიანობას შეწყვეტს. მნიშვნელოვანია, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომ არ მოხდეს საჯარო სამსახურში დაგროვებული კონტაქტებისა და რესურსების კერძო ინტერესებისათვის გამოყენება. ამიტომაც „მბრუნავი კარის“ პრინციპის დაცვა ხელს უწყობს კორუფციული გარიგებების მინიმუმამდე დაყვანას.

კანონის თანახმად, განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეს უფლება არ აქვს, განთავისუფლების დღიდან 1 წლის განმავლობაში მუშაობა დაიწყოს იმ საჯარო დაწესებულებაში ან საქმიანობას ახორციელებდეს იმ საწარმოში, რომელსაც იგი ბოლო 3 წლის განმავლობაში სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას არც იმის უფლება აქვს, ასეთი საჯარო დაწესებულებიდან ან საწარმოდან შემოსავალი მიიღოს.

ინტერესთა შეუთავსებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები (დისციპლინური წარმოება, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირება, დეკლარაციების მონიტორინგი) და პასუხისმგებლობა

ინტერესთა შეუთავსებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების არსებობა კანონმდებლობაში აზრს მოკლებული იქნებოდა სათანადო ქმედითი რეგულაციების გარეშე. ამდენად, კანონი ითვალისწინებს შესაბამის კონტროლის გზებსა და პასუხისმგებლობის ზომებს ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმების დარღვევისათვის.

უპირველეს ყოვლისა, ინტერესთა შეუთავსებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებიდან აღსანიშნავია დისციპლინური წარმოების დაწყება იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ინტერესთა შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმებით აკრძალული ქმედება. ეს საკითხი დარეგულირებულია საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-10 თავი დისციპლინური წარმოების შესახებ, დისციპლინურ გადაცდომათა ჩამონათვალში, რომელთა არსებობის საფუძველზეც იწყება დისციპლინური წარმოება და რომლის დადასტურების შემთხვევაშიც დგება დისციპლინური პასუხისმგებლობა, განსაზღვრავს ეთიკის ნორმებისა და ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფას ან დარღვევას, მიმართულს მოხელისა და საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ. ამ დანაწესიდან ლოგიკურია, რომ კანონმდებელი დარღვევად მიიჩნევს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმების უგულებელყოფას და დარღვევას, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, არის ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმებიც. გამომდინარე დარღვევის ხარისხიდან და დამდგარი შედეგიდან, შესაძლებელია ეს დარღვევა მძიმე კატეგორიის გადაცდომად ჩაითვალოს და საჯარო მოსამსახურის გათავისუფლების საფუძველი გახდეს.

კანონი ცალკე პუნქტად გამოყოფს შემთხვევებს, როდესაც თანამდებობის პირის მიერ ხდება ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმების დარღვევა და აღნიშნული ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ფორმად ითვალისწინებს თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლებას. კანონის შესაბამისად, თანამდებობის პირი (თუ საქართველოს კონსტიტუციით ან ორგანული კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) უნდა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ მან ან მისმა ოჯახის წევრმა დაარღვია ამ კანონით დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.

კანონმდებლობამ დამატებით პრევენციულ ღონისძიებად იმ მიზნით, რომ თანამდებობის პირებმა არ მიიღონ დაუსაბუთებელი და კანონით აკრძალული შემოსავლები და არ განახორციელონ ისეთი საქმიანობა, რომელიც ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს, განსაზღვრა თანამდებობის პირთა ყოველწლიური ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება. აღნიშნული დეკლარაცია საჯარო ხდება წარდგენის მომენტიდან და შედეგად, საზოგადოებისათვის ცნობილი ხდება, რა შემოსავლები გააჩნდა თანამდებობის პირს და მის ოჯახის წევრებს წლის განმავლობაში და რა ქონება შეიძინა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების წარდგენა ხდება:

- თანამდებობაზე დანიშვნისას;
- თანამდებობაზე დანიშვნის შემდგომ ყოველწლიურად;
- თანამდებობიდან გათავისუფლებისას;
- თანამდებობიდან გათავისუფლებიდან ერთი წლის შემდეგ.

2017 წლამდე თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები მხოლოდ საჯაროვდებოდა და საზოგადოებას ჰქონდა შესაძლებლობა, შეემოწმებინა და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. 2017 წლის შემდეგ კანონში შემოვიდა ახალი რეგულაცია, რომლის თანახმადაც ყოველწლიურად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ხორციელდება თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი. სწორედ მონიტორინგის პროცესში ხდება დეკლარაციაში არსებული ინფორმაციის გადამოწმება და თანამდებობის პირის მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. კანონის თანახმად და თანამდებობის პირთა დეკლარაციაში არსებული დარღვევების ხარისხიდან გამომდინარე, არსებობს განსხვავებული სანქციები და რეაგირების განსხვავებული ზომები:

- თუ დარღვევის ხარისხი უმნიშვნელოა, ასეთ შემთხვევაში ბიურო უარყოფითად აფასებს დეკლარაციას და ბიუროს უფროსის განკარგულებით აფრთხილებს თანამდებობის პირს. დარღვევის განმეორების შემთხვევაში თანამდებობის პირი ჯარიმდება;
- თუ დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვანია, ასეთ შემთხვევაში ბიურო იღებს გადაწყვეტილებას დეკლარაციის უარყოფითად შეფასების შესახებ, დეკლარაციაში არსებითი დარღვევის არსებობის თაობაზე და გამოსცემს განკარგულებას თანამდებობის პირის დაჯარიმებაზე. ჯარიმის ოდენობა არის თანამდებობის პირის თანამდებობრივი სარგოს 20%, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა;
- დეკლარაციის მონიტორინგის პროცესში ბიუროს მიერ პირის ქმედებაში დანაშაულის სავარაუდო ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ბიურო შესაბამის დეკლარაციასა და წარმოების მასალებს შემდგომი რეაგირებისათვის უგზავნის სათანადო სამართალდამცავ ორგანოს.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ დეკლარირებისა და დეკლარაციების მონიტორინგის პროცედურა რეალური ქმედითი პრევენციული მექანიზმია ინტერესთა შეუთავსებლობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

კომენტარები

კომენტარები

კომენტარები

კომენტარები

კომენტარები

კომენტარები

კომენტარები